შეხვედრის ოქმი
28 მარტი, მცხეთა

ღია მმართველობა საქართველო
საჯარო კონსულტაციები 2014

ქალაქ მცხეთაში ღია მმართველობა საქართველოს საჯარო კონსულტაცია მცხეთის საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა. შეხვედრას ბიბლიოთეკის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

შეხვედრის ფარგლებში ღია მმართველობა საქართველოს ეროვნულმა კოორდინატორმა ქეთი ცანავამ და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წარმომადგენელმა ლევალ ავალიშვილმა შეკრებილ საზოგადოებას გააცნეს მთავრობის ის ინიციატივები, რომელთა მიზანია მთავრობის ღიაობის, გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდა და რომლებიც დაგეგმილია, რომ ვალდებულებების სახით ჩაიდოს ღია მმართველობა საქართველოს 2014–2015 წლის სამოქმედო გეგმაში.

შეხვედრის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგ საკითხებზე:

- შეხვედრის მონაწილეთა აზრით, დასაქმების პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, აუცილებელია, საჯარო სამსახურში აყვანილი პირების ვინაობის და მოკლე ბიოგრაფიის გამოქვეყნება. გარდა ამისა, მათი შეხედულებით, უნდა გასაჯაროვდეს გასაუბრებების ჩანაწერები, რაც გამორიცხავს დამსაქმებელთა მიერ უსამართლო გადაწყვეტილებების მიღებას.

- შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ ისაუბრა იუსტიციის სახლზე. მისი აზრით, ოპერატორები არ არიან საკმარისად კომპეტენტურნი და ერთ საკითხზე სხვადასხვა პასუხი აქვთ. შეხვედრის მონაწილეთა აზრით, იუსტიციის სახლის სერვისები საკმაოდ ძვირადღირებულია და ხელმისაწვდომი არ არის ყველა მსურველისთვის. უკმაყოფილება გამოითქვა არქივთან დაკავშირებით - აღინიშნა, რომ არქივში არ არის ინფორმაცია ძველი უბნების შესახებ. დამსწრეებმა აქვე აღნიშნეს, რომ მცხეთაში არქივის მომსახურების მიღება შეუძლებელია, რადგან ის დუშეთში გადაიტანეს, რაც მოქალაქეებს დამატებით პრობლემებს უქმნის.

- იუსტიციის სახლის განვითარებასთან დაკავშირებით, შეხვედრის მონაწილეთა რეკომენდაციაა გამოიყოს კადრები, რომელთა ფუნქცია აზომვითი ნახაზების შედგენის პროცესში მოქალაქეთა დახმარება იქნება. შეხვედრის მონაწილეებს სურთ აღნიშნული კადრების ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენდეს ადგილზე გასვლა, აზომვითი ნახაზის შედგენა და შემდგომი პროცედურების განხორციელება. დამსწრეთა აზრით, ასეთ შემთხვევაში თავიდან იქნება აცილებული სხვადასხვა ხარვეზები და დაიზოგება მომხმარებლის დროც.

- მოქალაქეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ სახელმწიფო სერვისების მიღებისას ბიუროკრატია მინიმუმამდე დავიდეს და კიდევ უფრო გამარტივდეს პროცედურები.

- ყურადღება გამახვილდა ბიბლიოთეკების განვითარების საკითხზე. შეხვედრაში მონაწილე ბიბლიოთეკის თანამშრომელთა თქმით, მცხეთის მუნიციპალიტეტში 24 ბიბლიოთეკა გაუქმდა, დარჩენილია მხოლოდ 3 ბიბლიოთეკა - 1 მცხეთაში, ორი სოფლებში. ეს ორი მხოლოდ ხელფასების დონეზე ფინანსდება და სხვა რესურსი არ გააჩნია. იმის გათვალისწინებით, რომ მცხეთის ბიბლიოთეკა ფაქტობრივად საზოგადოებრივი ცენტრის ფუნქციას ითავსებს, რადგან აქ ნებისმიერ მსურველს შეუძლია ისარგებლოს ინტერნეტითა და კომპიუტერით, შეხვედრის მონაწილეთა აზრით, სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს ბიბლიოთეკების განვითარების საკითხს. შეხვედრის მონაწილეებს წარედგინათ სამოქმედო გეგმის ვალდებულება ბიბლიოთეკების გარდაქმნის და განვითარების შესახებ, რამაც მათი დიდი მოწონება დაიმსახურა.

- საჯარო სამსახურის თემატიკასთან დაკავშირებით, გამოითქვა მოსაზრება, რომ ტესტირებები და გამოცდები საჯარო სამსახურში ყველას არ უნდა ჩაუტარდეს. შეხვედრის მონაწილეთა ნაწილი თვლის, რომ გამოცდილი კადრებისთვის, რომლებიც წლებია ერთ პოზიციაზე მუშაობენ, მსგავსი გამოცდა შეურაცხმყოფელია და სასურველია ეს ტესტირებები ახალი თანამშრომლებისთვის განისაზღვროს. გამოითქვა მოსაზრება, რომ სავალდებულო საგამოცდო ეტაპების ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნეს ზოგადი უნარები, რადგან ასეთი გამოცდის მნიშვნელოვანი ნაწილის - მათემატიკის ცოდნა ყველას არ მოეთხოვება სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე. შეხვედრის მონაწილეებმა ასევე გამოთქვეს უკმაყოფილება იმ მაღალი მოთხოვნების მიმართ, რაც დაწესებულია საჯარო სამსახურში დასაქმების მსურველთათვის. დამსწრეებმა განაცხადეს, რომ არ არის აუცილებელი ყველა ვაკანსიაზე კანდიდატს მოეთხოვოს ინგლისურისა და კომპიუტერის ცოდნა. შეხვედრის მონაწილეები ფიქრობენ, რომ კარგად უნდა განისაზღვროს სამუშაოს სპეციფიკა და მასთან შესაბამისობაში მოვიდეს საკონკურსო მოთხოვნები.